



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლა



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ აბაზაძე

წევრები:

აკაკი სადუნიშვილი-(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ცირა მსხილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239885157

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სენაკი
ფაქტობრივი მისამართი	სენაკი, სოფელი ძველი სენაკი
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1696



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	DzveliSenaki@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551099399

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 01.07. ის ბრძანება MES 5 24 0000779830
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25-26 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-
---	--	---	---	---

				ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	სენაკი, სოფელი ძველი სენაკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხურ	ქართული ენა	სენაკი, სოფელი ძველი სენაკ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხურ	ქართული ენა	სენაკი, სოფელი ძველი სენაკი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლაში, 2024 წლის 25-26 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს. განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი. ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, ვიზიტის დღის წესრიგი გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შესწავლილ იქნა სკოლის მატერიალური რესურსი. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.



VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
--	---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----- 300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შესაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
<i>ინდიკატორი N</i>		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
<i>ინდიკატორი N</i>		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
<i>ინდიკატორი N</i>		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	ხარვეზი
---------------------	---	----------------



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო განათლების საშუალო საფეხური)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	• სკოლამ შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში (2025 წლის 27.05.) წარმოადგინოს შემუშავებული და შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; • სკოლამ შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში (2025 წლის 13.05.) მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;



ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რეგისტრაციის ფორმის განსაზღვრულად, რათა მოხდეს სკოლის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული ახალი შენობა ნაგებობების რეგისტრაცია. <i>სკოლამ უზრუნველყოს პრობლემის სისრულეში მოყვანა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2025 წლის 27 მაისი.</i>
N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს კიბეების ადაპტირება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სხვა სართულებზე გადაადგილებისთვის; <i>სკოლამ უზრუნველყოს პრობლემის სისრულეში მოყვანა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 09 მარტი.</i>
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
ინდიკატორი N. 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	<i>(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სკოლას მიეცეს, რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 3/09/2025 -მდე პერიოდში დაქვებულულება აღჭურვის ლაბორატორიით.</i>

ინდიკატორი N. 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სკოლას მიეცეს, რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 3/09/2025 -მდე პერიოდში დაწესებულება აღჭურვოს ლაბორატორიით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N. 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სკოლას მიეცეს, რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 3/09/2025 -მდე პერიოდში დაწესებულება აღჭურვოს ლაბორატორიით.
ინდიკატორი N. 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) სკოლას მიეცეს, რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 3/09/2025 -მდე პერიოდში დაწესებულება აღჭურვოს ლაბორატორიით.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი გახდეს ქმედითი რგოლი. სკოლის საჭიროებების დადგენის, სასკოლო საზოგადოების მეთად ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისთვის გამოიყენოს გამოკითხვისა და უკუკავშირის სხვადასხვა მეთოდები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.2.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სასურველია სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის საჭიროების კვლევის მიზნით, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლების გამოკითხვის ელექტრონული ფორმები, გამყარებული მტკიცებულებების მიზნით.
N.3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;	სასურველია სამოქმედო გეგმაში გაიწეროს არა მხოლოდ მასწავლებელთა კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების აქტივობები, არამედ მთლიანად, პერსონალის განვითარებისა და კარიერული ზრდის შესახებ შეიქმნას საჭირო მექანიზმები. გაიწეროს სკოლის ბიუჯეტში კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები.
N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სასურველია, სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოების მიზნით. სკოლა აღიჭურვოს ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით;



N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლამ უზრუნველყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პუნქტი 1-ის თანახმად, ოფიცრის დანიშვნა და ამავე მუხლის 8 პუნქტის შესაბამისად, მისი ვინაობა წერილობით აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.
		გადაიხედოს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. შევიდეს ცვლილებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის თანხედრად, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა საერთაშორისო სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს და არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებას.
N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობა ნაგებობების დროული დემონტაჟი
N 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	- სკოლამ შეიმუშავოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი; - რევიზია ჩატარდეს დირექტორის 2022 წლის 02.11 ბრძანება 2-80-ით დამტკიცებულ, სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
N3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	- სკოლამ უზრუნველყოს, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში რიცხული ქონების არაგეგმიური ინვენტარიზაციის ჩატარება. - გადაიხედოს სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, გაიწეროს მასში კონკრეტულ მიზნები და ამოცანები, სასწავლო რესურსებთან სსსმ / შშმ პირების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესები და ა.შ
N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;	განახლდეს სკოლის საქმისწარმოების წესი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

N3.6.2.4.	სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან	სკოლამ გაითვალისწინოს ვალდებულება- ყოველწიურად წარუდგინოს „ინკლუზიურ განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N.4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	- სასურველია, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების რესურს ოთახის და იქ არსებული დამხმარე საშუალებების დეზინფექციაზე პასუხისმგებელი პირი; - პერიოდულად მოხდეს ისგ გეგმის მონიტორინგი და მათი განხილვა მშობლებთან ერთად. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებით; - სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმები გაიწეროს, სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის მიხედვით;

სტანდარტი N2 დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს;	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩარჩოში გრაფები იყო არეული და ასევე თემების მიხედვით დავალების პირობები გამოტოვებული კურიკულუმის სრულყოფისთვის სასურველია პედაგოგებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხი სამომავლოდ) საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია დაწყებით საფეხურ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყ ყველა საგნისათვის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს მსგავსი



	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ;	დიზაინი (იგულისხმება V კლასის საგანში "ჩვენი საქართველო"). კურიკულუმის განსხვავებული დიზაინი
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას ;	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (სასურველია სკოლაში არსებული ინვერტარის გათვალისწინებით მაგალითად : ბურთები, ნიშნულები, ბარიერები და სხვა) სამომავლოდ კურიკულუმებს დაემატოს სასწავლო თემები) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის დონეზე. სასურველია მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (სასურველია, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება.)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს ;	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.)



		უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (სასურველია, შემაჯამებული დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებული დავალება. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება.)
ინდიკატორი 2.1.2.4 ინდიკატორი 2.2.1.3	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები შეფასების სისტემა არის ვალიდური, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, შეფასების სისტემა არის სანდო, შეფასების სისტემა არის ობიექტური, შეფასების სისტემა არის სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები, რომელიც აისახება შემოქმედებით პროდუქტში, ასევე სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.) საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია როგორც საზოგადოებრივი, ასევე დაწყებითი კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ განმავითარებელი, ხოლო V-VI კლასებისათვის განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა.) საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია პედაგოგებმა დაანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში)
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დაანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან)
სტანდარტი N2 საბაზო საფეხური	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	რჩევა

ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას საგნობრივი კურიკულუმში წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩარჩოში გრაფები იყო არეული და ასევე თემების მიხედვით დავალების პირობები გამოტოვებული კურიკულუმის სრულყოფისთვის სასურველია პედაგოგებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხი.) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (სასურველია, კათედრამ, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად და შემოქმედებითად ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის, დაგეგმოს მეტი კომპლექსური ტიპის დავალებები, სასწავლო პროექტები და ინტეგრირებული გაკვეთილები.) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (საჭიროა ყურადღება მიექცეულ იქნეს, რომ კურიკულუმში თემის ფარგლებში უნდა იფარებოდეს ის სამიზნე ცნებები რომლებიც სტანდარტით არის განსაზღვრული.)
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (სასურველია სკოლაში არსებული ინვენტარი გათვალისწინებით მაგალითად: ბურთები, ნიშნულები, ბარიერები და სხვა სამომავლოდ კურიკულუმებს დაემატოს სასწავლო თემები) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის დონეზე. სასურველია მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების



		გამოყენება. შედეგების გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციები უნდა შეესაბამებოდეს მიზნებსა და მოსწავლეთა ენის ფლობის დონეს.) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას რუმბიკაში კარგი იქნება გარკვევით ჩანდეს რომელი თემის, რომელი სამიზნე ცნების შეფასება ხდება და რომელი ინდიკატორით)
სტანდარტი N2 საშუალო საფეხური	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდის ექსპერტის რჩევა (წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩარჩოში გრაფები იყო არეული და ასევე თემების მიხედვით დავალების პირობები გამოტოვებული კურიკულუმის სრულყოფისთვის სასურველია პედაგოგებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხი) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (სასურველია, საშუალო საფეხურზე, უცხოური ენის კათედრამ დაგეგმოს და განხორციელოს საგანთაშორისი აქტივობები სასწავლო პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.)
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდის ექსპერტი რჩევა (სასურველია სკოლაში არსებული ინვერტარ გათვალისწინებით მაგალითად : ბურთები, ნიშნულები, ბარიერები და სხვა სამომავლოდ კურიკულუმებს დაემატოს სასწავლო თემები) უცხოური ენების ექსპერტი რჩევა (კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის იდეის დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება (ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები), რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას.)



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ფიზიკური აღზრდის ექსპერტი რჩევა (სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.) უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (შემაჯამებელი დავალების კომპონენტში შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავება შედეგად მიღწეული შედეგები. სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება შედეგების გაუმჯობესების მიზნით გაცემული რეკომენდაციები უნდა შეესაბამებოდეს მიზნებსა და მოსწავლეთა ენის ფლობის დონეს.) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას რუბრიკაში კარგი იქნება გარკვევით ჩანდეს რომელი თემა რომელი სამიზნე ცნების შეფასება ხდება და რომელი ინდიკატორით)
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული მიდგომები, რომელიც აისახება შემოქმედებით პროდუქტში, ხოლო სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი დავალებების მოდიფიცირებული მიდგომა აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში.)
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	უცხოური ენების ექსპერტის რჩევა (სასურველია, უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული) კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნას ძირითადი საკითხის და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით შერჩეული დამატებითი რესურსები რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში (გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა)



ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება საგნობრივი კურიკულუმების რევიზიაში;)
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, შეფასების სისტემა არის სანდო, შეფასების სისტემა არის ობიექტური, შეფასების სისტემა არის სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომებზე პედაგოგებმა განიხილონ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა.) საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა (სასურველია პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოების შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში;)

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე. სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული პოზიცია, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მითითებულ ხარვეზებზე. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი

პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლა განვითარებაზე ორიენტირებული.

სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე დასკვნის პროექტის თანახმად, რიგ სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც „მეტწილი“ (ინდიკატორი N 3.4.1.1; N3.5.1.1 ; N 2.1.2.3.) „არ შესაბამეა“ (ინდიკატორი N3.5.1.4. ;N2.2.2.3. საბაზო და საშუალო საფეხურზე)

3.4 კომპონენტის ინდიკატორი

3.4.1.1. შეფასებული იყო როგორც „მეტწილი“, რადგან სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2024 წლის 25.07-ის წერილი N908326 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაგზავნილი, სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვების დახმარებაზე. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების უზრუნველყოფა 2025 წლის 13 მაისამდე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ მოგვანოდა განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი და მტკიცებულებები სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შესასრულებლად. კერძოდ, 2024 წლის 15 აგვისტოს სკოლამ გააფორმა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება N-383 სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ სენაკის საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად დარჩა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადა (2025 წლის 13 მაისი).

სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. 2024 წლის თებერვლის თვეში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის/ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს მიერ „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე სკოლაში ჩატარებული იყო დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლის შედეგადაც გამოვლენილ იქნა ნაკლოვანებები. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა 2024 წ. 25.12.-ის N908339 მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან დაფინანსებისთვის. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ჰქონდა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან 2025 წლის 27 მაისამდე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ მოგვანოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკების და ამ რისკების დადგომის ალბათობის შესახებ, კერძოდ სკოლა ითვალისწინებს დაფინანსების დაგვიანების ალბათობის 30%-ს. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად დარჩა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადა 2025 წლის 27 მაისი. წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მესამე სტანდარტის 3.4 ინდიკატორის შეფასება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დარჩა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“

3.5 კომპონენტის ინდიკატორი

3.5.1.1. სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წლის ამონაწერი, რომელიც ექვემდებარება განახლებას სკოლის ტერიტორიაზე არსებული ახალი შენობა ნაგებობების რეგისტრაციის მიზნით. არგუმენტირებული პოზიციით სკოლა ითვალისწინებს ექსპერტების მიგნებებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ახალი შენობის რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის 22 აგვისტოს N MES 2 24 0001005654 წერილობით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პრობლემის სისრულეში მოყვანის მიზნით. პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 27 მაისი.

3.5.1.4. ექსპერტთა გადაწყვეტილებით, შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივი“, რადგან სკოლას არ აქვს შესაბამისი ადაპტირებული გარემო შენობის მეორე სართულზე შშმ პირთათვის წვდომის. არგუმენტირებული პოზიციით სკოლა ითვალისწინებს ექსპერტების მიგნებებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ მოგვაწოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკების და ამ რისკების დადგომის ალბათობის შესახებ, კერძოდ სკოლა ითვალისწინებს დაფინანსების დაგვიანების ალბათობის 40%-ს. მიუხედავად აღნიშნული გარემოების პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად განისაზღვრა 2026 წლის 9 მარტი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოთაღნიშნული ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მესამე სტანდარტის 3.5. ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

მეორე სტანდარტის 2.1. კომპონენტის ინდიკატორი N2.1.2.3 საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასებული იყო როგორც „“, სკოლას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ჰქონდა (9/3/2024-9/3/2025) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა-განახლების უზრუნველყოფა. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ N2.1.2.3 ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მეორე სტანდარტის N2.1.2.3 ინდიკატორი საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტის ინდიკატორი N2.2.2.3 საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, სკოლას, არ აქვს შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლა ითვალისწინებს ექსპერტების მიგნებებს. 2024 წლის 9 მარტს MES 0 24 0001052984

წერილობით მიმართა რაიონის საგანმანათლებლო ცენტრს, გააცნო ბაზრის კვლევის შედეგები და დაფინანსებისთვის ითხოვს შუამდგომლობას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული მოწყობილობებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სკოლის დაფინანსების შესახებ. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ მოგვაწოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკების და ამ რისკების დადგომის ალბათობის შესახებ, კერძოდ სკოლა ითვალისწინებს დაფინანსების დაგვიანების ალბათობის 30%-ს. მიუხედავად აღნიშნული გარემოების პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 9 მარტი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ N2.2.2.3 ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში, საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მისია და ხედვა შემუშავებულია სკოლის პრიორიტეტებზე დაყრდნობით

სსიპ - არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის მისიაა აღზარდოს კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედი და მიზანდასახული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე მოქალაქეები, რომლებიც მზად არიან წარმატებული ცხოვრებისთვის. ამისთვის სკოლას შექმნილი აქვს ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა განათლება მიიღოს პოზიტიურ, უსაფრთხო სწავლის მასტიმულირებელ ისეთ გარემოში, სადაც სწავლა მოსწავლისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო პროცესია. სკოლა აძლევს საშუალებას ყველა მოსწავლეს გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა გახდეს დამოუკიდებელი მთელი ცხოვრების მანძილზე.

სკოლის ხედვაა გახდეს სამაგალითო საგანმანათლებლო სფეროში, რომელიც აღზრდის ცოდნით, უნარებითა და სიბრძნით აღჭურვილ მოქალაქეებს, რომლებიც გახდებიან მომავლის ლიდერები.

სკოლის მთავარი ღირებულება: თანამშრომლობა-მმართველი რგოლისა და დაქვემდებარებული პირების კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობა, დაწესებულებაში საერთო ძალისხმევით ჩამოყალიბებული ორგანიზაციული კულტურა;

ურთიერთპატივისცემა-სხვათა აზრების, დამოკიდებულებების აღიარება და დაფასება, რასაც საფუძვლად უდევს საპასუხო ურთიერთობების განცდა, სადაც სხვას პატივს სცემენ და იგივეს იღებენ უკან;



გუნდურობა-კოორდინირებული, მიზანმიმართული, კონსტრუქციული თანამშრომლობა სკოლის მისიის მისაღწევად;
ტოლერანტობა-ადამიანის თავისუფალი არჩევანის ზოგადი უფლების პატივისცემა, სკოლა უზრუნველყოფს, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და ითვალისწინებდეს ჩართულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;
ინოვაციურობა-მოსწავლეებს მიეწოდება ხარისხიანი განათლება, რომელიც მოიცავს აკადემიურ ცოდნას, კრიტიკული აზროვნების უნარებს და პრაქტიკულ შესაძლებლობებს, ასევე სწავლება დაფუძნებულია თანამედროვე მიდგომებზე;

სკოლის დოკუმენტაციის, განხორციელებული პროექტების შესწავლით, ასევე სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საქმიანობა, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს; კერძოდ, დაწესებულების მთავარი პრიორიტეტებია დემოკრატიული ღირებულებების მექანე, ტოლერანტული და პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქეების აღზრდა. მისიასა და ხედვაში ხაზგასმულია მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარების მნიშვნელობა, მათთვის სამოქალაქო ცნობიერებისა და ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხზე ზრუნვა, ინოვაციური მიდგომების დანერგვა და სხვა. ყოველივე ეს მეტყველებს, რომ სკოლა აცნობიერებს საკუთარ როლს მოსწავლის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნაში. ამავდროულად, სკოლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, შექმნას სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო, დაცული სივრცე, სადაც ყველას ექნება ინიციატივებისა და საკუთარი მისწრაფებების გამოხატვის შესაძლებლობა.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლის დირექტორის 2023 წლის 27.04-ის ბრძანება N2-10 შექმნილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით, წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფები. თანამშრომელთა მომუშავე ჯგუფი, მშობლებთან მომუშავე ჯგუფი, მოსწავლეებთან მომუშავე ჯგუფი და სტრატეგიული ჯგუფი. სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია, სხდომის ოქმები, მოსწავლეთა მოსაზრებების მოკვლევა და მშობელთა უკუკავშირი. 2023 წლის 14 ივლისის N2-42 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებს და ქვეპროცესებს; პროცესში ჩართულ მხარეებს (სამუშაო ჯგუფი, სასკოლო საზოგადოება-დირექცია, თანამშრომლები, მასწავლებლები, მოსწავლეები, თემი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გაზიარების, მონიტორინგის, შეფასების და ცვლილებების შეტანის პროცესს. **ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ნაწილობრივ გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია მისია, ხედვა და ღირებულებები. მისია და ღირებულებები ასევე განთავსებულია სკოლის ცენტრალურ

ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულება სამომავლოდ გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა ალტერნატიული შესაძლებლობები, პერსონალის და საზოგადოების მეტად ინფორმირებისათვის. **ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი გახდეს ქმედითი რგოლი. სკოლის საჭიროებების დადგენის, სასკოლო საზოგადოების მეტად ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისთვის შექმნას და გამოიყენოს გამოკითხვისა და უკუკავშირის სხვადასხვა მეთოდები.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; როგორც N4 ინდიკატორში აღინიშნა სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია მისია, ხედვა და ღირებულებები. მისია და ღირებულებები, ასევე განთავსებულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე. **ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448(15.09.2005) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით სკოლის სახელწოდება-სსიპ არნოლდ ჩიქოვას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის 27.04-ის ბრძანება N2-10;
- 2023 წლის 14 ივლისის N2-42 ბრძანება;
- სსიპ არნოლდ ჩიქოვას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2024 წლის 20.04. -ის სკოლის თანამშრომელთა საერთო კრების ოქმი N01;
- დაწესებულების ვებ გვერდი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 14.07-ის N2-42 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის და სამოქმედო გეგმის შემუშავების ძირითად პრინციპებს. კერძოდ, პროცესზე პასუხისმგებელ პირებს, პროცესში ჩართულ მხარეებს, დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ, დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრების ნაწილი განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და დირექტორი ამტკიცებს ბრძანებით. ჯგუფის ხელმძღვანელი აწარმოებს ჯგუფის მუშაობის კოორდინაციას და უზრუნველყოფს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურებთან კომუნიკაციას და წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე. სტრატეგიული გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება სტრატეგიული გეგმის გადახედვა. სტრატეგიული მიმართულებით გათვალისწინებულია სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსების განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს შექმნა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. სკოლა ვალდებულია იღებს ყოველი წლის ბოლოს მოამზადოს სამოქმედო გეგმის ანგარიში, უზრუნველყოს მისი საჯაროობა. აქედან გამომდინარე

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08.09.-ის N2-56 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება სტრატეგიული გეგმის გადახედვა. სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნებია:

2- ადამიანური რესურსების განვითარება;

3-მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

4 - უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნა;

5 -სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

6- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება;

სკოლის ხელმძღვანელობას, თანამშრომლებს, მშობლებს, დაინტერესებულ საზოგადოებას კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ სტრატეგიული გეგმა ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც გარკვეული პერიოდულობით (საჭიროებისამებრ) ყოველთვის დაექვემდებარება გადახედვას და მასში ცვლილებები შევა შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 08.09.-ის N2-57 ბრძანებით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, სკოლის მისიიდან და მიზნებიდან მასში ასახულია შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. წლიურ სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის განვითარებისთვის აუცილებელ ეტაპებს:

- სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსების განვითარება;
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

სკოლაში ვიზიტისას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება სკოლის საჭიროებაზე მორგებით და წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლების, კათედრებისა და მოადგილის წლიურ ანგარიშს.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4.სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების ექვს პრიორიტეტულ მიმართულებას, დროში გაწერილ ამოცანებს და პასუხისმგებელ პირებს, გაზომვად ინდიკატორებს და რესურსებს. ამოცანების შესაბამისი აქტივობები დეტალური და სტრუქტურირებულია და განსაზღვრულია სკოლის მიერ.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლის დირექტორის 2023 წლის 14.07.-ბრძანება 2-42 -ით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თავი 12-ში, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას დაგეგმილი აქვს განახორციელოს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგის შემდეგი მექანიზმები:

- შუალედური შეფასება
- საბოლოო შედეგების შეფასება - მიღებული შედეგების, გაწეული საქმიანობის, ძლიერი და სუსტი მხარეების შეჯამება/შეფასება, რომელიც გამოიყენება სტრატეგიული გეგმის კორექტირებისათვის;
- უკუკავშირი - ეფექტური საშუალება თანამშრომელთა მოტივირების, ძლიერი მხარეების შენარჩუნებისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;
- სასკოლო საზოგადოების აზრის შესწავლა/კვლევა - წლის ბოლოს ამ აქტივობის კიდევ ერთხელ განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სკოლის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ ამ მომსახურების მიმღებთა აზრის შესწავლას.

ინდიკატორი 1.2.2.2.დაკმაყოფილებულია.

3.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.

4.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმიN5 2023წ. 08.10.;
- სკოლის თანამშრომელთა საერთო კრების ოქმიN01 2024 წ.29 .04;.
- სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; კერძოდ, საჯარო სკოლამ წარმოადგინა პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, სადაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულთა თანამდებობები და თანამდებობრივი ინსტრუქციები. დაწესებულებაში დასაქმებულია: დირექტორი (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი), დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, დარაჯი (2), დამლაგებელი (3), სპეციალური მასწავლებელი (2), მასწავლებლის ასისტენტი (1) მასწავლებელთა გუნდი (26). აღნიშნული პირების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. ასევე, შემუშავებულია დაწესებულების სტრუქტურის ორგანიგრამა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებას და იერარქიას. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილია მათი საქმიანობის დებულებები და შრომით ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გაწერილია, როგორც ზოგადი ხასიათის უფლება-მოვალეობები, ასევე კონკრეტული პირის ფუნქციებიც. განსაზღვრულია გარკვეული პასუხისმგებლობა და თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში დაკისრებული მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია..

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. მათი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობას ეფუძნება, რაც საშუალებას აძლევს სკოლის დირექტორს სწორად მოახდინოს ფუნქციათა დელეგირება და გაუწიოს მონიტორინგი დაკისრებული სამუშაოს შესრულებას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დებულებასა და ხელშეკრულებაში გაწერილი ფუნქციები არ არის ფორმალური ხასიათის. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ვალდებულებები როგორც სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, ისე ოპერაციული პროცესების (სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ფინანსური საქმიანობა, საქმისწარმოება და სხვა) განხორციელების მიმართულებით.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ვებ გვერდზე განთავსებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ ინფორმაცია;
- შრომითი ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ხორციელდება მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. სკოლაში მოქმედებს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები. მათ შორის: სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპები. დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის შინაგანაწესი თანხვედრაშია სკოლის პერსონალთა ხელშეკრულებებსა და საქართველოს შრომის კოდექსთან.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის პროცედურა; სკოლის მიერ დირექტორის 2023 წლის 05.05. ბრძანება N2-11-ით დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია ასევე ახალი კადრის ადაპტაციისა და ინტეგრაციის მექანიზმები სამუშაო გარემოში. სკოლა ზრუნავს როგორც არსებული კადრების შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვაზე. სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების შენარჩუნება მუდმივად ზრუნვა მათ განვითარებაზე. მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ასევე არეგულირებს პერსონალის შეფასების და საჭიროებების დადგენის, მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობისა და პროფესიული განვითარების ასპექტებს. პერსონალის ინტერვენციული მართვისთვის სკოლას აქვს შემუშავებული საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები. **ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევა ხდება გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპის დაცვით. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 17.12.-ის ბრძანება N2-73-ით სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. წესში გაცხადებულია კონკურსის ჩატარებისა და კადრების შერჩევის მთავარი პრინციპები:

- ა) ობიექტურობა - კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
- ბ) გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის;
- გ) საჯაროობა – კონკურსის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- დ) კოლეგიურობა – კონკურსი უნდა ჩატარდეს და ვაკანტური ადგილის მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს საკონკურსო კომისიის მიერ;
- ე) კორექტულობა – კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას. სკოლაში არსებული ვაკანსიის შესავსებად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი; სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, სპეციალური მოთხოვნები. ინფორმაცია შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში, ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ადგილას სამასწავლებლოში, საინფორმაციო დაფაზე. ღია კონკურსის გამოცხადება ხდება ინტერნეტ ვებგვერდზე <http://teacherjobs.ge>-ზე. გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია.

მასწავლებელთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად. ონლაინ სივრცეში ცხადდება ვაკანსია და კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრის აყვანა ხდება. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია. თითოეულ საქაღალდეში წარმოდგენილია ყველა

საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი დანაშაულის არ ქონისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებული

4.სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებული პერსონალი შერჩეულია სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. კანდიდატების შერჩევა ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 26 პედაგოგი მათ შორის 2 წამყვანი, 21-უფროსი, მათ შორის 3 მოწვეული უფროსის სტატუსის მქონე პედაგოგი, (აუცილებლობიდან გამომდინარე კონკურსის გარეშე აყვანილი).პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საბუთი.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5.სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობისა და გადაწყვეტილებების მონაწილეობითი პრინციპით მიღების მტკიცებულებები - შეხვედრის ოქმები, ვიზუალური მასალა, განხორციელებული პროექტები. გუნდური მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია საგნობრივი კათედრების წევრების მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები, ოქმები, უკუკავშირის ფორმები, შექმნილი კურიკულუმები და მრავალფეროვანი აქტივობები. მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. აღნიშნული დოკუმენტის 21-ე მუხლში „თანამშრომელთა მოტივაცია“ გაწერილია მასწავლებელთა წახალისების მატერიალური და არამატერიალური ფორმები, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლში მოცემულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. **ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-11 (05.05.23წ) ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის დირექტორის 2024წ 12.01-ის ბრძანება N 2-02 ხარისხის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ;
- პირადი საქმეები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;

- ადგილზე ვიზიტი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

- 1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
- 2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
- 3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
- 4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
- 5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილი აქვს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში. დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. დაწესებულება მიმართავს შეფასების შემდგომ მეთოდებს: შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; თვითშეფასება და გასაუბრება. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობა მმართველობითი და ძირითადი პროცესების შეფასების მიზნით. ხარისხი მართვის სამსახური შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გაცემს რეკომენდაციებს, პროცესის

განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. გარდა ამისა ტარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც მიმდინარეობს საჭიროებების შესახებ მსჯელობა და გადაჭრის გზების დასახვა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შეფასების პროცესი საკმაოდ დინამიურია და ორიენტირებულია თანამშრომლების პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშავოს პერსონალის საჭიროების კვლევის მიზნით, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლების გამოკითხვის ელექტრონული ფორმები, გამყარებული მტკიცებულებების მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად; პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს თანამშრომლების მიზნობრივი განვითარების პროცესს. აღსანიშნავია, რომ განვითარების აქტივობების შემუშავებაში, სკოლაში დასაქმებული პირები თავად არიან ჩართულნი - სკოლას კი მხარდამჭერის როლი აქვს.

ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში ვიზიტისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები. კერძოდ, შეხვედრებზე განიხილება პერსონალის საჭიროებების გამოვლინება. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე და ადგენს რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს, რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე. სკოლის ადმინისტრაცია და საგნობრივი კათედრები ეხმარებიან მასწავლებლებს პროფესიულ წინსვლასა და კარიერულ ზრდაში. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თუმცა სკოლის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული პერსონალის კარიერული ზრდისათვის საჭირო ხარჯი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემა. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია.

რჩევა: სამოქმედო გეგმაში გაიწეროს არა მხოლოდ მასწავლებელთა კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების აქტივობები, არამედ მთლიანად, პერსონალის განვითარებისა და კარიერული ზრდის შესახებ შეიქმნას საჭირო მექანიზმები. გაიწეროს სკოლის ბიუჯეტში კადრების მომზადება- გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ახორციელებს მასწავლებლების პროფესიული განვითარების მხარდაჭერის აქტივობებს: გაკვეთილებზე დასწრებას, უკუკავშირს, მასწავლებელთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ამ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვას.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, გაწერილია თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმები, მუხლი 18. ამ მექანიზმების მიხედვით, იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია: მოლოდინები, შეხვედრა და „ოჯახის წევრობა“-სკოლის/გუნდის სრულყოფილებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. ამისთვის სკოლა ეხმარება მას გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. სოციალიზაციისთვის კი ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომელიც რეგულირდება ამავე დოკუმენტით. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში წახალისებულია დასაქმებულთა შორის კომუნიკაცია და არაფორმალური ურთიერთობები. სკოლის წარმომადგენლების რწმენით, ვერცერთი ორგანიზაცია ვერ იარსებებს, თუკი მის წევრებს საშუალება არ ექნებათ, დაამყარონ ეფექტური კომუნიკაცია ერთმანეთთან.

ინდიკატორი 3.2.1.5.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ბიუჯეტი;
- შინაგანაწესი;
- ადგილზე ინტერვიუს შედეგები;
- სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 12.01-ის ბრძანება 2-02 დამტკიცებული, სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის 2020 წლის 26.11-ის ბრძანება 2-98, სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლაში სკოლის დირექტორის N2-02 ბრძანებით შექმნილია სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას შეფასების ორი გზით: შიდა და გარე შეფასებით. შიდა ხარისხის მართვის სისტემა- დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. გარე ხარისხის კონტროლის სისტემა: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ავტორიზაციის გავლა.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2.დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პროცესების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული

პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრება პერსონალის ცალკეულ წევრებს, აღწერილია მათ ფუნქციებში. თანამშრომლებს გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და ისიც, თუ რა როლი ეკისრებათ სკოლისათვის მნიშვნელოვანი მმართველობითი პროცესების განხორციელებაში. გაცნობიერებულია, რომ სასწავლო პროცესის ყოველდღიური მართვა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და შენარჩუნება, მოსწავლეებზე ზრუნვა არის სკოლისათვის უმთავრესი მიზანი. **ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2021 წლის 27.12 ბრძანება N2-80-ით დამტკიცებული საჩივრის წარდგენის პროცედურები. რომლის მიხედვითაც რეგულირდება:

- ❖ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართვის განხილვის წესი
- ❖ მიმართვის მომზადება;
- ❖ მიმართვის განხილვა;
- ❖ გასაჩივრების უფლება და პროცედურები.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლაში არ დაფიქსირებულა სკოლაში საჩივრის შეტანის ფაქტი, არ აქვს საჩივრის მიღებისა და რეაგირების პრაქტიკა. შესაბამისად არ მოიძებნება ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა. უახლოეს პერიოდში არ დაფიქსირებულა დისციპლინარულ კომიტეტში მიმართვა დისციპლინარული დარღვევის შესახებ.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;

დირექტორის 2023 წლის 25.12 ბრძანება N2-98 დამტკიცებული, სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის სკოლის მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტით რეგულირდება, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. ხოლო, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა, დისციპლინური სახდელები და მათი დაკისრების წესები.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის 2023წ. 25.12 ბრძანება N2-98-ით დამტკიცებული, სკოლის მიერ შემუშავებულ „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის დირექტორის 2021 წლის 27.12 N2-80 ბრძანებით დამტკიცებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი და სოციალური ქსელი რომელზეც თავსდება სკოლისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია. ასევე სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლაში ყველა სართულზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა სადაც ხდება ინფორმაციის გასაჯაროება. სკოლასთან კომუნიკაციის ძირითადი ფორმაა მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები და სასკოლო პროექტებსა და ღონისძიებებში ჩართულობა. უკუკავშირისთვის სკოლა იყენებს სოციალური ქსელისა და teams-ის პლატფორმებს, პირისპირ შეხვედრებს, კრებებს. სკოლის მშობლები მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა; სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/ მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია, რომ სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ: სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებელი. პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა. საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები. მოსწავლეთა

თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი. მოსწავლის მშობელი აქტიურ მონაწილეობას იღებს შვილის განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის პროცესში. მშობლები ნაწილობრივ არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, მათი უმრავლესობა მუდმივად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან. სკოლა ცდილობს აქტიურად მიაღებინონ მონაწილეობა მშობლებს სხვადასხვა ღონისძიებებში, გასვლით შეხვედრებში, ექსკურსიებში. რათა შექმნან შემოქმედებითი, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სკოლის მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და მასწავლებლის/სხვა დასაქმებულის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების აღმწერი დოკუმენტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- საინფორმაციო დაფები;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში; https://www.facebook.com/DzveliSenaki/?locale=ka_GE
- ვებ.გვერდი; <https://skolebi.emis.ge/schools/1696>
- კლასის დამრიგებლის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ინტერვიუები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოები დასაცავად, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას პასუხისმგებელი პირები, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა. გაფორმებულია ხელშეკრულება ორ პირთან სკოლის დარაჯის პოზიციაზე. სკოლას ჰყავს ორი მანდატური, ექიმი და სასწავლო პროცესის დრო მიმდინარეობის ხელშესაწყობად შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი სკოლის შენობა-ნაგებობის სართულებისთვის. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმა, პირველ სართულზე

დამონტაჟებულია სახანძრო სტენდი. პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი საჭირო ინვენტარითა და სამედიცინო საშუალებებით. შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაციის სისტემა. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია ყველა სართულზე. სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. 2024 წლის თებერვლის თვეში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის/ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს მიერ „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე სკოლაში ჩატარდა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა ნაკლოვანებები. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, სკოლას წერილობით მიმართვა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან განხორციელებულია 2024 წ. 25.12. N908339 ზემო აღნიშნული სამსახურის ვიზიტამდე. სკოლას ასევე არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. 2024 წლის 25.07-ს წერილი N908326 სკოლამ მიმართა წერილით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვების დახმარების თხოვნით. საჯარო სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების უზრუნველყოფა 2025 წლის 13 მაისამდე. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური.

სკოლის შენობა არ არის დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, თუმცა აქვს მიწერილობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან.

რეკომენდაცია:

სკოლას არ აქვს შემუშავებული და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში გაიზიარა ექსპერტთა პოზიცია. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ წარმოადგინა 2024 წ. 25.12.-ის N908339 მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან დაფინანსებისთვის. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ჰქონდა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან 2025 წლის 27 მაისამდე. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ მოგვაწოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკების და ამ რისკების დადგომის ალბათობის შესახებ, კერძოდ სკოლა ითვალისწინებს დაფინანსების დაგვიანების ალბათობის 30%-ს. მიუხედავად აღნიშნული გარემოების პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად დარჩა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადა 2025 წლის 27 მაისი.

სკოლას არა აქვს დასკვნა შენობების მდგრადობის შესახებ;

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ მოგვაწოდა განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი და მტკიცებულებები სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შესასრულებლად. კერძოდ, 2024 წლის 15 აგვისტოს სკოლამ გააფორმა საექსპერტო

მომსახურების ხელშეკრულება №383 სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ სენაკის საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად დარჩა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადა 2025 წლის 13 მაისი.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება დატოვა მეტწილ შესაბამისობაში.

რჩევა:

- მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ემსახურება მანდატურის სამსახური, სასურველია უსაფრთხოების მიზნით სკოლა აღჭურვოს ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით;

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და ვადიანი მედიკამენტებით. სკოლას ემსახურება კვალიფიციური ექიმი. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლის ექიმი ასრულებს სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის ექიმის სამუშაო აღწერილობით დაკისრებულ მოვალეობას;

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია

3.დაწესებულებას ჰყავს ორი მანდატური და ორი დარაჯი, რომლებიც მეთვალყურეობას უწევენ მოსწავლეთა უსაფრთხოებას და წესრიგის შენარჩუნებას. სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ასევე ეხმარება სკოლის მანდატურებს წესრიგის დაცვაში. გარდა ამისა, წარმოდგენილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი სართულების მიხედვით. მორიგე მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა გადაადგილებას და უზრუნველყოფენ საფრთხეების თავიდან აცილებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ზემო აღნიშნული პროცესი რეგულირდება ადამინებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის მუხლი7-ით.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. გარდა ამისა, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად კლასის დამრიგებლები აქტიურად მუშაობენ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან, ასევე აქვთ სისტემატიური კომუნიკაცია მოსწავლეების

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. სკოლას აქვს შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.

სკოლის კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ელემენტები, განაპირობებს ცნობიერების ამაღლების არაერთი კამპანიის, სამუშაო შეხვედრისა თუ პროექტის განხორციელებას, რაც ხელს უწყობს “უსაფრთხო” სკოლის შენებას და დადებითი გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა რეგულირდება, სკოლის მიერ შემუშავებული ადამინებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის მუხლი 8-ით. საშტატო ერთეულით სკოლას განსაზღვრული ჰყავს სამი დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. შენობის სამივე. სართული, დერეფნები და სველი წერტილები მუშავდება სველი წესით. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ვიზიტის დროს სველი წერტილები იყო მოწესრიგებული, ადგილზე იყო საჭირო რესურსი, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები. საჭირო რესურსით, ჰიგიენური საშუალებები, საყოფაცხოვრებო ქიმი და სადეზინფექციო საშუალებებით აღჭურვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია. დამლაგებლის უფლება-მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის (მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის) პერსონალური მონაცემების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, იმ სუბიექტების ჩამონათვალს, ვისი მონაცემებიც მუშავდება სკოლაში, მათ შორის სსსმ პირების შესახებ ინფორმაციას, პერ. მონაცემთა მიღების

წყაროების ჩამონათვალს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს, მონაცემთა გამჟღავნების, შენახვის პირობებსა და ვადებს, მონაცემთა უსაფრთხოებაზე და მასზე წვდომის უფლებამოსილ პირებს, თანამშრომელთა ვალდებულებებს.. გარდა ამისა, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებულ ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელზე თანხმობის შემთხვევაშიც სკოლას/მასწავლებელს აქვს უფლება, გამოიყენოს მოსწავლის/მოსწავლის ნამუშევრის ფოტო მასალა, საგანმანათლებლო მიზნებისთვის. თუმცა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პუნქტი 1-ის თანახმად, 2024 წლის 1 ივნისიდან სკოლას უნდა ყავდეს აყვანილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.(თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უფლება აქვს, შეასრულოს სხვა ფუნქციაც, თუ ეს არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პუნქტი 1-ის თანახმად, ოფიცრის დანიშვნა და ამავე მუხლის 8 პუნქტის შესაბამისად, მისი ვინაობა წერილობით აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

გადაიხედოს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. შევიდეს ცვლილებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის თანხვედრად, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა საერთაშორისო სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს და არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებას.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლაში ინფორმაციის დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო კამპანიები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. წესების დაცვით ასახავს სკოლა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მოზილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები გაწერილია, „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის“ მუხლი 9-ში.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. კერძოდ, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით მრჩეველთა საბჭოს მიერ ხდება პერიოდული მონიტორინგი და იდენტიფიცირებული პრობლემის სხდომაზე განხილვა. მრჩეველთა საბჭო შეიმუშავებს პრობლემის აღმოფხვრისთვის საჭირო რეკომენდაციებს და ხდება რეკომენდაციების შესაბამისი ზომების მიღება. გარდა ამისა, სკოლაში მაღალია სასკოლო საზოგადოების მმართველობით პროცესებში ჩართულობა, რაც აადვილებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შესახებ უკუკავშირის მიღებას. სკოლა ასევე იყენებს სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვის ფორმებს და დაკვირვების მექანიზმებს. მიღებულ ინფორმაციას სკოლა იყენებს პროცესების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 25.12 ბრძანება 2-99 -ით დამტკიცებული სკოლის „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა“;
- სკოლის დირექტორის 2021 წლის 02.09 ბრძანება 2-46-ით დამტკიცებული, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- 2024 წ.13.02-ის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის, მიწერილობა № 16
- საევაკუაციო გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 08.09.ბრძანება 2-55 -ით დამტკიცებული, მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 02.11 ბრძანება 2-80 -ით დამტკიცებული, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;



- სამედიცინო მომსახურების აღრიცხვის ფურცელი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- წერილი ვიდეოკამერების შეძენა , მონტაჟზე 2024 29.01. MES8240000081477-2024 31.01 MES 6240000093977;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N08 2023.06.06, N02 2024.08.04;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- ადგილზე ვიზიტი, ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; კერძოდ, დაწესებულება მდებარეობს, სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში ს.კ.44.04.26.082. სკოლას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადაცემული აქვს 21538 კვ.მ კვ. მ მიწის ნაკვეთი. სკოლის ძველი კორპუსი აგებულია 1874 წელს, შენობა დაკონსერვებულია, საერთო ფართი 1602.88 კვ.მ. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ახალ კორპუსში რომელის ექსპლუატაციაში შესულია 1985 წელს, მისი სრული რეაბილიტაცია განხორციელდა 2023 წელს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. ფართი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად შეადგენს 2480,16 კვ.მ-ს. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ასევე, ოთხი მცირე ზომის შენობა ნაგებობა (N4-85.49 კვ.მ; N5-36,75; N6-14.56 კვ.მ; N7-2.2 კვ.მ) რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. სკოლის ძირითადი სასწავლო კორპუსი სამ სართულიანია. სკოლას აქვს შიდა სპორტული და საკონფერენციო დარბაზი, გარე ხელოვნურსაფარიანი მოედანი. ფუნქციონირებს 12 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა, კვების მცირე ბლოკი, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, მანდატურების ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დამხმარე ოთახი. სააქტო დარბაზში, მოწყობილია სცენა, განთავსებულია სკამები. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარით. დაწესებულების ბალანსზეა 28 დაფა, 470 სასკოლო მერხი და სკამი, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ საჭიროებებს. 28 კომპიუტერი, 40 პორტატული კომპიუტერი, 5 პრინტერი, 3 პროექტორი და სხვა სახის სასკოლო ინვენტარი. სკოლას აქვს გამოყოფილი სივრცე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის, თუმცა არ აქვს არც სათანადო მოწყობილობა და არც რესურსი. სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დახმარების და სათანადო რესურსის გამოყოფის უზრუნველსაყოფად. 2024 წლის 29.01-ს MES8240000081530.

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. ხოლო, პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, რომლებიც მრავლად არის გრიფირებულ სახელმძღვანელოში განთავსებული.

რეკომენდაცია:

- სკოლამ მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რეგისტრაციის ფორმის განსაახლებლად, რათა მოხდეს სკოლის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული ახალი შენობა ნაგებობების რეგისტრაცია.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლა ითვალისწინებს ექსპერტების მიგნებებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ახალი შენობის რეგისტრაციის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წლის 22 აგვისტოს N MES 2 24 0001005654 წერილობით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პრობლემის სისრულეში მოყვანის მიზნით. პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 27 მაისი.

რჩევა:

- სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობა ნაგებობების დროული დემონტაჟი

ინდიკატორი 3.5.1.1. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; დირექტორის 2022 წლის 02.11 ბრძანება 2-80-ით დამტკიცებულია, სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. რომლის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარებისთვის;
- მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა;

დასახული ამოცანები საშუალებას იძლევა სკოლის მისიის განხორციელების.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით, რომელშიც მოწყობილია მრგვალი მაგიდის ირგვლივ სამუშაო სივრცე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ბიბლიოთეკას მრავალფეროვანი აქტივობების განსახორციელებლად იყენებენ. ასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით, გარე სპორტული მოედნითა და სააქტო დარბაზით.

რჩევა:

სკოლამ შეიმუშავოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;

რევიზია ჩატარდეს დირექტორის 2022 წლის 02.11 ბრძანება 2-80-ით დამტკიცებულ, სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესს

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები; სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც 2023 წ. 25.12-ს, დირექტორის ბრძანება N2-97-ით არის დამტკიცებული. ადგილზე ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკის სარეგისტრაციო ჟურნალის აღრიცხვა არ იყო თანხვედრაში წიგნების გადანომვრასთან.

რჩევა:

- სკოლამ უზრუნველყოს, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში რიცხული ქონების არაგეგმიური ინვენტარიზაციის ჩატარება.
- გადიხედოს სკოლის ბიბლიოთეკის დებულება, გაიწეროს მასში კონკრეტული მიზნები და ამოცანები, სასწავლო რესურსებთან სსსმ/შშმ პირების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესები და ა.შ

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას შექმნილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები, სასკოლო გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია. სკოლის შესასვლელი არ საჭიროებს პანდუსის განთავსებას, ვინიდან პირველი სართული აღჭურვილია სპეციალური ლიფტით, სკოლის შესასვლელი არ წარმოადგენს ბარიერს შშმ პირთათვის. პირველ სართულზე მდებარეობს ადაპტირებული სველი წერტილი. ამავე სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სააქტო და სპორტული დარბაზი. დანარჩენი საერთო სარგებლობის სივრცეები მდებარეობს მეორე სართულზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შშმ სტატუსის მქონე პირი, მაგრამ სასურველია სკოლამ მომავალში გაითვალისწინოს სხვა სართულების ადაპტირებაც, შშმ მოსწავლეებისთვის სკოლის ყველა არსებული რესურსის ხელმისაწვდომობისთვის.

რეკომენდაცია:

- *სკოლის კიბეების ადაპტირება, შშმ მოსწავლეების სხვა სართულებზე გადაადგილებისთვის;*
არგუმენტირებული პოზიციით სკოლა ითვალისწინებს ექსპერტების მიგნებებს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ მოგვაწოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკების და ამ რისკების დადგომის ალბათობის შესახებ, კერძოდ სკოლა ითვალისწინებს დაფინანსების დაგვიანების ალბათობის 40%-ს. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა პრობლემის სისრულეში მოყვანის ვადად განისაზღვრა 2026 წლის 9 მარტი.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება კვლავ დარჩა, „ნაწილობრივ შესაბამისობად“.

ინდიკატორი 3.5.1.4 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; ადგილზე ვიზიტის დროს და ვიზუალურმა დათვალიერებამ მოგვცა საშუალება აღვნიშნოთ, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში არსებობს საერთო სარგებლობის სივრცეები: სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია ამ სივრცეების არსებობა მოსწავლეებს და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობა. გარე სპორტული მოედანი, ეზო იძლევა საშუალებას შემოქმედებითი და სპორტული ღონისძიებების ჩატარებისთვის. სპორტის მასწავლებელი მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეების ჩართულობით ხშირად გეგმავს ამხანაგურ შეჯიბრებებს სკოლის მოსწავლეებთან. სოფლის მოსახლეობა სარგებლობს აღნიშნული რესურსით. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, პროექტების პრეზენტაციები. განხორციელდა არაერთი სოციალური პროექტი, ეკოლოგიური და გარემოს დაცვის კუთხით მოხდა მწვანე ნარგავების დარგვა სკოლის ტერიტორიაზე. განხორციელდა დასუფთავების აქცია სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს/კ 44.04.26.081.;



- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 02.11 ბრძანება 2-80 -ით დამტკიცებული, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- წერილი სსიპ საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობასა და სათანადო რესურსის გამოყოფის უზრუნველსაყოფად. 2024 წლის 29.01-ს MES8240000081530;
- 2023 წ. 25.12-ს, დირექტორის ბრძანება N2-97 ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ადგილზე ვიზიტი, ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით შემუშავებულია ციფრული განვითარების გეგმა. ფუნქციონირებს გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული საქმისწარმოების წარმართვისა და ინფორმაციის მარტივად მიიღებისა და გაავრცელების საშუალებას. საჯარო სკოლა იყენებს შემდეგ ელექტრონულ სისტემებს : eflow, eschool, email.mes.gov.ge, signature.emis.ge, skolebi.emis.ge. სკოლის " მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით" განსაზღვრულია ტექნიკით სარგებლობის წესი. „სკოლის ციფრული განვითარების გეგმა“, ითვალისწინებს სკოლაში არსებული

სივრცის გამოყენების პირობებს. აღნიშნული დოკუმენტიდან და ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლას ჰყავს საინფორმაციო მეწეჯერი. ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორი. სკოლაში არსებული 28 კომპიუტერი (40პორტატული კომპიუტერი), 3 პროექტორი, უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გამარტივებული კომუნიკაციის საშუალებას. მასწავლებლების საზიარო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში, სადაც განთავსებულია ერთი კომპიუტერი. სკოლა აღჭურვილია wifi -ით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სკოლის სივრცეს. სკოლა აქტიურად გეგმავს ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობებს, ღონისძიებებს.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნიკის განაწილების და საზიარო სივრცეების მოწყობის განრიგი, ციფრულ ტექნოლოგიებთან თავისუფალი წვდომა აქვს ადმინისტრაციას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილი, სკოლა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც არა აქვთ ოჯახში ინტერნეტზე წვდომა.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2022 წლის 02.11 ბრძანება 2-80 -ით დამტკიცებული, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მოსწავლეების მიერ მომზადებული ვიდეო რგოლების ლინკი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

- 1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
- 2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- 3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
- 4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2022 წლის 09.09 -ის N2-57 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადების, გაფორმების, გამოცემის და მათი აღრიცხვის წესი; ოქმის, წერილის, ცნობის გაფორმების წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ. წესის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული და მატერიალური ფორმით. ელექტრონული საქმისწარმოება ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების მატერიალური და ელექტრონული დამუშავების თავსებადობას. გამომდინარე აქედან სკოლის საქმისწარმოების წესი საჭიროებს განახლებას.

რჩევა:

განახლდეს სკოლის საქმისწარმოების წესი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ სისტემებს eSchool.emis.ge-ს, მათ შორის დოკუმენტბრუნვის სისტემას - Eflow; eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა ამორიცხვის, სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციის, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაციის ასახვა. Eflow სისტემის მეშვეობით ხდება კორესპონდენციის წარმოება. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge, სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. სკოლა დარეგისტრირებულია eauction.ge-ზე, სადაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში აცხადებს აუქციონს ფართის იჯარით სარგებლობის გაცემის მიზნით.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია. შევსებულია ყველა სავალდებულო ველი, ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. სკოლის ბარათი განახლებულია, მასწავლებელთა პროფილი შევსებულია და სავალდებულო დოკუმენტები ატვირთულია. ასევე , განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს. ახორციელებს საფეხურის დამლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას. Eflow სისტემის მეშვეობით ხდება კორესპონდენციის წარმოება. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას DzveliSenaki@mes.gov.ge

ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლასა და საქმისმწარმოებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, განსაზღვრულია დასაქმებულის ვალდებულებები, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან. კერძოდ, სკოლის დირექტორი

ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველწიურად წარუდგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ხოლო, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება მათში მითითებულ ვადების დაცვით.

რჩევა:

სკოლამ გაითვალისწინოს ვალდებულება- ყოველწიურად წარუდგინოს, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- ელ. ფოსტა, Eschool, Eflow;
- 10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- დირექტორის 2022 წლის 09.09 -ის N2-57 ბრძანებით დამტკიცებული საქმისმწარმოების წესი; .

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა

მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესდება“, განსაზღვრავს, შიდა და გარე კომუნიკაციის სახეებს, ურთიერთობებსა და პროცედურებს. ამავე წესის მე-3 მუხლის შესაბამისად სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად გარე კომუნიკაციის წყაროდ იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური ქსელის ოფიციალურ Facebook გვერდს.

დოკუმენტის მიხედვით და ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სოციალური ქსელის გვერდი ითვალისწინებს ინფორმაციის სანდოობას. ამავე წესდების მუხლი -ნში გაწერილია ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი და ინფორმაციის გაცემის წესი. სოციალური ქსელში სკოლა განათავსებს ყოველდღიური ცხოვრების წარმატებულ აქტივობებსა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციას. სოციალური გვერდის და Teams-ის საშუალებით სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. სკოლას აქვს ვებ-გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1696>

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა ვებ - გვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების საფუძვლად იყენებს სკოლის კოლექტივის მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის შინაარსებს (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, პროექტების გეგმები და ა.შ.). ვებ - გვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2.დაკმაყოფილებულია.

3. სოციალურ ქსელში სკოლის აქტივობების შესახებ ვიზიტორების ასახული კომენტარების, ელ. ფოსტებზე შემოსული შეტყობინებების შინაარსები, განიხილება სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3.დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის გვერდია,<https://skolebi.emis.ge/schools/1696> რომელზეც განთავსებულია ქართულენოვანი ტექსტები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებ - გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.6.3.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურები, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, სექტორის ენა და საკონტაქტო ინფორმაცია. შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სკოლის ბაზაზე გასაჩივრების განხილვის წესი; სკოლის ინფრასტრუქტურის

ამსახველი ფოტომასალა. პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/1696>;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- 2020წ 09.09. ბრძანება N2-78 ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;
- სკოლის „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესდება“;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2024 წლის ბიუჯეტი, რომლის შესაბამისად სკოლის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, მასწავლებელთა სერტიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება, ადგილობრივი ორგანოებიდან შემოსული თანხა და ასევე ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამჟამად ბიუჯეტი განისაზღვრება წელიწადში 446,988 ლარით. სადაც შედის საკუთარი შემოსავლებიც წელიწადში 1776 ლარის ოდენობით. სკოლაში იჯარითაა გაცემული ფართი კვების ბლოკისთვის 16,17 კვ.მ, სრული კანონმდებლობის დაცვით. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია

მასწავლებლების, ტექ.პერსონალის, შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი სასწავლო წლის საჭიროებები. სკოლა ამ საჭიროებებს უსაბამებს ფინანსურ რესურსებს, რომელთა დადგენა ხდება წინა და მომდევნო წლის შესყიდვების გეგმის შედგენის პროცესში. სკოლამ 2023 წელს შეიმუშავა ფინანსური ხასიათის სამოქმედო გეგმა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დეტალური რეგულაციები, სადაც ჩანს როგორ წარმართავს სკოლა ფინანსების მართვას. დირექცია შესყიდვების გეგმის შედგენამდე ახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მუშავდება სახელმწიფო შესყიდვების ახალი გეგმა. აღნიშნული სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ფარავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს და საჭიროებებს, მათ შორის კომუნალურ ხარჯებს. ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ფინანსურ ანგარიშს

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის, ეფექტიანი სისტემა; ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება წინა წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს წესი „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ 2023 წ. 17.11 ბრძანება N2-78. დანართიდან გამომდინარე, ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილ პირად, ამავე ბრძანებით განსაზღვრულია შესყიდვების კორდინატორი. საჭიროების შემთხვევაში ინდ.აქტით შედის ცვლილებები შესყიდვების გეგმაში. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, სკოლას გათვალისწინებული აქვს პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები. სკოლის დირექტორის 17.11.2023 წლის N2-79 ბრძანებით, დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა. დამტკიცებული გეგმა ატვირთულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ePLAN-მოდულში. შესყიდვების განხორციელების შემდეგ, სკოლას მიღება -ჩაბარების აქტები ატვირთული აქვს შესყიდვების CMR- მოდულში.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 17 ნოემბერს დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და შესყიდვების წლიური ფორმა“;



- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის სხდომის ოქმი №5;
- 2024 წლის ბიუჯეტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში (ფინანსური და სასწავლო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ);
- დირექტორის 17.11.2023 წლის N2-79 ბრძანებით, დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;
- იჯარის ხელშეკრულება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, „სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“. აღნიშნული შიდა რეგულაციები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება მოსწავლის წახალისების და დისციპლინური დევნის პრინციპები; „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის შესაბამისად, მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით განსაზღვრულია შემდეგი მექანიზმები: სკოლის შინაგანაწესი; სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლის დისციპლინური კომიტეტი; სკოლის მანდატური/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; სკოლის ექიმი; თითოეული კლასის დამრიგებელი; სკოლის სასწავლო გეგმა. აღნიშნული წესის თანახმად, აღწერილია მოსწავლის, მოსწავლის მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის უფლებები. „სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“ შინაარსიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა, განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული რეგულაციით განისაზღვრება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, მკითხველის უფლებები და მოვალეობები და ა.შ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მიმართვის ფორმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიებს სკოლა უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების შესაბამისად. **ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო-სასწავლო გეგმა თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული(ფოიეში). სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესენჯერ ჯგუფი, სადაც გაწვევრიანებულნი არიან მშობლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სადამრიგებლო ჯგუფები ასევე შექმნილია teams-ში. დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სკოლის ვებ.გვერდზე გაზიარებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, გასაჩივრების დეტალური პროცედურები. სკოლის შენობის დათვალიერების, დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მოსწავლესთან / მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული „საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით“ განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება - მოვალეობები; მოსწავლის

პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი, სასწავლო დრო, დასვენების დროს, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და სხვა დებულებები. მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი გაცნობა დასტურდება ხელმოწერით. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო „საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება“.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები მშობლებსა და სკოლას შორის;
- სკოლის საჩივრის წარდგენის პროცედურების დოკუმენტი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შემთხვევებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017წ. 11.01. #04/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. მოსწავლის მობილობის (სხვა სკოლიდან გადმოსვლის) შემთხვევებში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის #193/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებების შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“. სკოლამ წარმოადგინა შიდა რეგულაციაში ასახული პროცედურის შესაბამისად განხორციელებული, მოსწავლის ჩარიცხვისა მიზნით კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა; მოსწავლის მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის ამსახველი მასალა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად დგინდება, რომ **ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა კანონის შესაბამისად ახორციელებს მონაცემთა წარმოებას, ანალიზსა და მექანიზმებს.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის, სადამრიგებლო პროგრამებში ასახული შინაარსიდან გამომდინარე კლასის დამრიგებლის მოვალეობად განსაზღვრულია მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის, აკადემიური მოსწრების და ა.შ ინფორმაციის მშობლისთვის მიწოდება. სკოლის შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის შიდა რეგულაციები, სასწავლო ცხრილი/განრიგი და სხვა სახის საგანმანათლებლო, სოციალური - კულტურული სახის ინფორმაცია. სკოლის ვებ - გვერდზე ატვირთულია სკოლის მომსახურებასთან, მოსწავლის უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული შიდა სასკოლო სამართლებრივი აქტები. სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის შეხვედრების, სოციალური ქსელის, ვებ - გვერდის და სხვა საშუალებების მეშვეობის მომსახურების, პროგრამების, სკოლის შიდა პოლიტიკის, მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის და ა.შ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. ყველას აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნოს სკოლის მიერ შეთავაზებულ სიახლეებს.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებლად საჭირო ინფორმაციის ადმინისტრირებაზე, სკოლის დირექტორს 2020 წლის 09.09. ბრძანება N2-78 განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. განსაზღვრულ პირს, მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ სიახლეები ვებ გვერდზე განსათავსებლად. დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნოს. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე. **ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- დირექტორის 2023 წლის 05.05.-ის ბრძანება N2-12-ით დამტკიცებული, „სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- შინაგანაწესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2024 წ. 12.01-ის ბრძანება N2-04-ით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი“. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. სკოლის შიდა რეგულაციით განისაზღვრება ადაპტაციის ნიშნები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესის განსახორციელებელი ღონისძიებები, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები, პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით განსახორციელებელი პროცედურა. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მასწავლებელი, და ა.შ. სადამრიგებლო პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, დამრიგებელი ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციის პროცესს. სკოლის შენობების საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან შეუფერხებელი შეგუებას. სკოლა გეგმავს ბრძანებით განსაზღვროს ტრანზაციის კოორდინატორი, რომელიც იქნება საკონტაქტო პირი მშობლებისთვის, დამრიგებლისა და ადმინისტრაციისთვის.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სწავლის დაწყებამდე, მოსწავლისთვის ხდება სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით, ბავშვთან ერთად სასკოლო გარემოს დათვალიერება, კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და მასწავლებელთან. სკოლა თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან. სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციის მიზნით სკოლა ასევე ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე სკოლა ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეს ახალ გარემოსთან შეგუებაში, სხვადასხვა უნარ-ჩვევების დაუფლებაში. სკოლის სოციალურ ქსელში აქტიურად მასალის/ფოტომასალის თანახმად, სკოლაში აღინიშნება სასწავლო პროცესის დაწყება, დასრულება, სკოლის მიერ განხორციელებულია მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები/ღონისძიებები სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლის დახმარებას და კონსულტირებას, იმ შემთხვევაში, თუ მან რომელიმე საგნის წლიური შეფასება მიიღო 5-ზე ნაკლები. სკოლა უნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში. გამოცდა ტარდება სასწავლო წლის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში ან მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, გამოცდამდე სკოლა უწევს კონსულტირებას მოსწავლეს იგი საგნის წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. თუმცა ასეთი შემთხვევა სკოლას არ ჰქონია, რადგან მასწავლებლები ცდილობენ დამატებითი ინდივიდუალური მუშაობით მოსწავლეებს მანამდე გაუწიონ კონსულტაცია და დაეხმარონ შედეგების გაუმჯობესებაში. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა აქტიურად აფასებს მოსწავლეს განმავითრებელი კომენტარით. სკოლას ყავს ორი წარმომავლობით თურქი საქართველოს მოქალაქეობის მქონე მოსწავლე, რომელთაც ჰქონდათ ენის ბარიერი. სკოლამ შეიმუშავა რემედიაციის პროგრამის ფარგლებში, მათთან სამუშაო სასწავლო პროგრამა სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინებში. არასაგაკვეთილო პროცესის დროს ტარდებოდა დამატებითი მომსახურება, პრობლემის აღმოფხვრისა და მოსწავლის აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის“ თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. მოსწავლეები და მათ მშობლები/კანონიერ წარმომადგენლები ინფორმირებული არიან მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში სკოლა დაეხმარება რეფერირებაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ადმინისტრაციულ/სამართლებრივი აქტით დგინდება ექსტერნატის ფორმით დაძლევის, გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები. აღნიშნული ბრძანება გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ხელშეკრულება მშობელთან, მშობელთა კრების ოქმი, კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.ფორმალურ განათლებასთან ერთად სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების სასკოლო კლუბი „ახალი თაობა“ და ისტორიის კლუბი „ნორჩი ისტორიკოსები“. წლის განმავლობაში კლუბების მიერ განხორციელებულია არაერთი აქტივობა: ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დამზადდა ბუკლეტები და პოსტერები; პრეზენტაცია- გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები; პროექტი- უკეთ გავიცნოთ ნატო; პრეზენტაცია - მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან; პროექტი- დედამიწის დღე; პრეზენტაცია- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; ვიქტორინა - ფაქტები და მოვლენები; მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა აქტივობა -არ ძალადობას, არა ფემიციდს. თანამედროვე სკოლის დანიშნულებაა ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრების შემძლე ადამიანის აღზრდა. აქტუალურია ეკოლოგიურ საკითხებზე ზრუნვა, რაც გამოწვეულია ადამიანის არაგონივრული მოქმედებებით. ამ მიზნით 2022 წელს საბაზო „საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო საზაფხულო სკოლა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა პროექტი „კლიმატი, ენერგია, გარემო“.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლეთა მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად სკოლა ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების წევრების უკუკავშირის ანალიზს. უკუკავშირი შეიძლება მიღებული იქნას წერილობითი ან ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით შეიძლება გამოიხატებოდეს მასწავლებელთა ანგარიშებში ან კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმებში. ზეპირი სახით კი მშობელთა კრებებზე გამოთქმულ მოსაზრებებში, დამრიგებლის მიერ კლასის საათის ჩატარების დროს, სოციალურ ქსელში დაფიქსირებული პოზიციით ან პირისპირ შეხვედრების დროს.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის ხელშეკრულება მშობელთან;
- დირექტორის ბრძანებით „მოსწავლის ადაპტაციის წესი“;
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ვებ - გვერდი, სოციალური ქსელი;
- საზაფხულო სკოლის პროგრამა;
- საზაფხულო სკოლის საქმიანობის შეფასება;
- <https://www.youtube.com/watch?v=hXWcHTQXWkA>;
- <https://www.youtube.com/watch?v=5fea1N6dhgU>;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა ვიზიტი სენაკის ტექნოპარკში, საინფორმაციო ტექნოლოგიების პოპულარიზაციისთვის; სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ნოქალაქევის არქეოპოლისის მუზეუმის არქეოლოგიურ გათხრებში, არქეოლოგიის პოპულარიზაციის მიზნით. სკოლას 2022 წლის 15.08. გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯთან, მემორანდუმის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა სასწავლო ტრენინგი „საექთნო საქმე“. სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას საბაზო საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, კარიერული დაგეგმვის, პროფესიული ორიენტაციის პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობის მიზნით სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. სკოლამ უმასპინძლა ქუთაისის კადეტთა კორპუსისა და კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. სხვადასხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობით განხორციელებული ღონისძიებები/აქტივობები უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელსა თუ პროფესიულ სასწავლებელს, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის. დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით დამამთავრებელ (მეცხრე, მეთერთმეტე, მეთორმეტე) კლასებში. სკოლაში მოდიან სხვადასხვა უნივერსიტეტის და კოლეჯის წარმომადგენლები, სტუდენტები, პედაგოგები და მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას მათი უნივერსიტეტების ან კოლეჯების სწავლების წესზე და უპირატესობებზე. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მოსწავლეები განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან კულინარია, კონდიტერია, საექთნო და აიტი მიმართულებების კუთხით. გაფორმებული მემორანდუმის, სკოლის მატერიალურ - ტექნიკური სივრცისა და სოციალურ ქსელის დათვალიერების, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო სკოლის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა მუდმივად იკვლევს სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს და მათ შედეგებს ითვალისწინებს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში. თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ მოეპოვება მტკიცებულება. სამომავლოდ იგეგმება კურსდამთავრებულებისა და მშობლებისთვის კითხვარების შემუშავება.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯთან;
- <https://www.facebook.com/media/set/?set=a.2508266735926350&type=3>- ექთნის კურსები;
- სკოლის დამრიგებლის დებულება;
- სასკოლო სივრცის ვიზუალური დათვალიერება;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 23.09-ის ბრძანება N2-64 დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. რომელშიც გაწერილია სხვადასხვა სახის აქტივობები. ამჟამად სკოლაში ირიცხება 14 სსსმ მოსწავლე. ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურებით სარგებლობს ერთი მოსწავლე. სკოლას ჰყავს სამი სპეციალური მასწავლებელი და ერთი ასისტენტი. სკოლას აქვს შექმნილი ისგ-ს შემუშავების ჯგუფები, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, ისგ თითოეული მოსწავლისთვის, რომელსაც ესაჭიროება გადახედვა და კორექტირების შეტანა; კერძოდ სასწავლო კურიკულუმების მოდიფიცირება მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. შემუშავებულია რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი. რესურს ოთახი მდებარეობს სკოლის პირველ სართულზე, ხელმისაწვდომი არის ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის. სკოლის ბიუჯეტიდან გამომდინარე რესურს ოთახი აღჭურვილია მწირი რესურსებით. ძირითადად რესურსები შექმნილია და დამზადებულია სპეც პედაგოგების მიერ, სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლას აქვს ძირითად შესასვლელში ლიფტი შშმ პირთა გადაადგილებისთვის.

რჩევა: ა) სასურველია, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების რესურს ოთახის და იქ არსებული დამხმარე საშუალებების დეზინფექციაზე პასუხისმგებელი პირი.

ბ) პერიოდულად მოხდეს ისგ გეგმების მონიტორინგი და მათი განხილვა მშობლებთან ერთად. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებით.

გ) სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმები გაიწეროს, სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის მიხედვით.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლის თანამშრომლები ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ დასახული მიზნის მიღწევას. სპეც. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ინტერვენციის გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საგნის მასწავლებლის ისგ - თან და შესაბამისად ხორციელდება მოსწავლესთან მუშაობა. სკოლა მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლე იყოს მთლიანი კლასის განუყოფელი ნაწილი და ჩაერთოს ყველა სახის სასკოლო პროექტში. სკოლაში მუდმივად ხორციელდება პროექტები სასკოლო საზოგადოების ინკლუზიური ცნობიერების ამაღლების კუთხით. მოსწავლეების მიერ დამზადებულია პოსტერები, ნახატები. სკოლას გააზრებული აქვს სსსმ მოსწავლეების ტრანზაქციის გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება. **ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2022 წლის 30.05. -ის ბრძანება N2-18, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 20.09. -ის ბრძანება N2-61, ი.ს.გ. სამუშაო გეგმის შექმნის მიზნით ჯგუფის შექმნა.;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას იჯარის ფორმით, კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით, აუდიტის დასკვნის შესაბამისად, აუქციონის ჩატარებით გამოვლენილ გამარჯვებულ პირზე, ორი წლის ვადით იჯარით გაცემული აქვს ფართი, სასკოლო კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის. სადაც კანონმდებლობის შესაბამისად ხდება პროდუქციის დამზადება და გაყიდვა.

სკოლა სარგებლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის „ტრანსპორტირება“ მხარდაჭერით და სთავაზობს მომსახურებას მოსწავლეებს. ტრანსპორტირება ხდება ოთხი სხვადასხვა ლოკაციიდან. მომსახურების სერვისი აფინანსებს, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ადგილობრივ მერიასთან თანამშრომლობით.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლაში ფუნქციონირებს ბერძნული ჭიდაობის უფასო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის სპორტის პედაგოგი. სკოლა ჩართულია „საჯარო სკოლის მოსწავლეების უფასო

ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში. მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით და კანონმდებლობის დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. მეიჯარესთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი მეიჯარის ვალდებულებები.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023წ.01.12 იჯარის ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
(იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები *დანართი №5¹*, საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართი *№5²*) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
2. სკოლას დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები *დანართი №5¹*, საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართი *№5²*) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები *დანართი №5¹*, საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართი *№5²*) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ (იხილეთ ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები *დანართი №5¹*, საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართი *№5²*) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
- სტრატეგიული გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმები ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების და განმავითარებელი შეფასების ნიმუში;
- კურიკულუმის დანართები (თემატური მატრიცის ნიმუში);
- მიმდინარე შეფასების ინსტრუმენტების რუბრიკები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

